სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/44

ქ. თბილისი 29 ივლისი 2025

სსიპ -საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველ მაგისიტრანტობის კანდიდატთა სარეგისტრაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-04/136 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 29 ივლისის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველ მაგისტრანტობის კანდიდატთა სარეგისტრაციო საფასური განისაზღვროს 40 ლარის ოდენობით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**